



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„მუმლი მუხასა“

„მუმლი მუხასა“, ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი უძველესი, წარმართული დროის მაღალმხატვრული ნიმუში (კახეთი, ქართლი, მესხეთი, აჭარა – „მამლი მუხასა“). ამ სიმღერამ საუკუნეთა განმავლობაში შინაარსის, სოც. ფუნქციისა და მუს. აღნაგობის თვალსაზრისით გარკვეული ცვლილებები განიცადა. მკაფიოდ გამოხატული მეტრულ-რიტმული და შესრულების ანტიფონური (ორგუნდოვანი) წესი გვაფიქრებინებს, რომ „**მ. მ.**“ თავდაპირველად მუხის გარშემო ფერხულით სრულდებოდა და რელიგიურ-მაგიური შინაარსის მატარებელი იყო. სიმღერის სხვადასხვა ვარიანტის საერთო თემებია: მუხის ძირში წყლის ჩადგომა და შიგ თევზის (კალმახის) გაჩენა, სადილის მომზადება, რიტუალური პურობა, მუმლის დახრჩობა და მუხის გადარჩენა. დროთა განმავლობაში „**მ. მ.**“ შეიცვალა პირვანდელი ფუნქცია და ნადურ (შრომის) სიმღერად გარდაიქმნა (სრულდებოდა პურის ყანაში ან სიმინდის თოხნის დროს). XIX ს. „**მ. მ.**“ საბოლოოდ დაიხვეწა, სამხმიანი სიმღერის სახით გავრცელდა და სიმბოლური და პატრ. შინაარსი (მუხა – საქართველო, მუმლი – მტრები) შეიძინა, „**მ. მ.**“ პირველად გამოაქვეყნა ზ. ჩხიკვაძემ თავის კრებულში „სალამური“ (1896). „**მ. მ.**“ ჩართულია ა. მაჭავარიანის ამავე სახელწოდების სიმფონიურ პოემაში (1937), ა. ბალანჩიშვილის I სიმფონიაში (1944).

ლიტ.: კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, გამოც. მე-2, თბ., 1961;
კოჭლამაშვილი ე., ქართული ხალხური რიტუალური სიმღერების „მუმლი მუხასას“ წარმომავლობის შესახებ, „კადმოსი“, 2016, №8; მამალაძე მ., შრომის სიმღერები კახეთში, თბ., 1962; ჩხიკვაძე ზ., სალამური, ტფ., 1896.
